№ 4
შაბათი, 5 იანვარი 1902 წ.
გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

ტფილისი
8
ეროვნული ბიბლიოთეკა

4 №
შაბათი, 5 იანვარი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩ, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.)

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდეკელის წიგნის მაღაზიას (ნიკოლოზ. ქ. ქალანთარ-ს ქარვასლის პირ-და-პირ).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი

კვირას, 6 იანვარს 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ვ. აბაშიძესა და კ. მესხის მონაწილეობით

დაკლებული ფასებით

I

ორი ჯიბგირი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად პიერ დეკურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი. ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, გუნია, სვიმონიძე, გამკრელიძე, აწყურელი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. **ფასები დაკლებულია**

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

„კიდევ ერთი მსხვერპლი“

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: ივალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ლთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპაროვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

კვირას, 6 იანვარს, 1902 წელს,

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში

გამართული იქნება

მეჯლისი (ბალი)

ფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთის ფასი 2 მ. და 10 კ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

დასაწყისი საღამოს 10 საათზედ.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ მეკარესთან.

(უ).

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 აათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

(იხ. № 274 დეკ. 1901 წ.)

ქების ფურდლებით:

ლს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—16).

ინსტრუქცია

მეეზოვეთათვის, გამოცემული ტფილის-სის გუბერნატორისაგან, თანახმად 5 მუხ. 5 სტ. 1901 წ. ნოემბრის 15-ს ტფილისისათვის შემოღებულის მთავარ-მმართებლისაგან დამტკიცებულის სავალდებულო წესებისა.

საერთო მოვალეობა მეეზოვეთა.

1. მეეზოვენი და შვეიცრები სახლებისა, სასტუმროებისა და მორთულ ოთახებისა ვალდებულნი არიან, სრული დახმარება აღმოუჩინონ უძრავ ქონებათა პატრონებს და პოლიციას საზოგადოებრივის მყუდროების, წესიერების, მშვიდობიანობისა და კეთილ-წყობილების, აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთა პირადისა და ქონებრივის უშიშროების დასაცველად. ამიტომ უნდა თვალყური ადევნონ:

მუხ. I. რომ გუბერნატორისაგან შემოღებული ბლანკებით შეატყობინონ უბნების პოლიციების სამმართველოებს ყველას მისვლა და წასვლა. ეს ცნობები წამსვლელ-მომსვლელებზე სასტუმროებსა და მორთულს ოთახებში პოლიციას უნდა ეუწყოს 12 საათის განმავლობაში და კერძო სახლებში კი 24 საათის განმავლობაში წასვლის, ან მოსვლის შემდეგ.

II. 2. რომ სასტუმროებსა, მორთულს ოთახებსა და სახლებში სრულის წესიერებით უნდა წარმოებულ იქმნას გუბერნატორისაგან შემოღებული წამსვლელ-მომსვლელთა ჩაწერის დავთრები.

II. 3. რომ დაუყოვნებლივ ეუწყოს უბნის პოლიციის სამმართველოს:

ა) ყოველი არა ჩვეულებრივი შემთხვევა;
ბ) სახლებში საეჭვო კრების გამართვა;
გ) ადამიანს ანუ პირუტყვს თუ რაიმე გადამდები სენი გამოაჩნდა;
დ) თუ ვინმე მოკვდა;
ე) ჩხუბი, უწესოება და სხვ. ყოველგვარი დარღვევა მშვიდობიანობისა და მყუდროებისა.

ახალი ამბავი

⁂ საქართველოს ახლად დანიშნული ექზარხოსი ალექსი ტფილისში ჩამოვიდა გუშინ, 4 იანვარს ბაქო-ბალაჯარის რკის გზით. ტფილისის სადგურზედ შესაგებებლად მრავალი ხალხი უკვე დილის 10 საათზედ შეიკრიბა. აქვე მობრძანდა ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფილისის კომენდანტი ბ-ნი რეიტერი, ქალაქის მოურავის მოადგილე—ბ-ნი შესტაკოვი, ტფილისის პოლიცმეისტერი და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. აქვე შეიკრიბნენ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მასწავლებლებით და მოსწავლეებით. სადგურიდგან მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა პირდაპირ საგანგებო ეტლით წავიდა სიონის ტაძარში, სადაც შეკრებილნი იყვნენ წარმომადგენელნი: ტფილისის მაზრისა და სხვა მაზრების ზოგი თავად-აზნაურთა წინამძღოლები, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, სამოსამართლო პალატის სამოქალაქო განყოფილების თავმჯდომარე ბატონი სმიტენი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, გენერლობა და მრავალი ხალხი. სიონის ტაძრის შესავალთან რიგ-რიგად დაწყობილნი იყვნენ თავიანთი ბაირაღებით ქალაქის ამქრები და მათი უსტაბაშები. ექზარხოსს ეკლესიის შესავალთან მიეგება გორის ეპისკოპოსი კირიონი სასულიერო სემინარიის რექტორთან და ქალაქის სამღვდელოებასთან ერთად შემოსილი. ეპისკოპოსმა კირიონმა მოკლე სიტყვით მიმართა ექზარხოსს, რომელსაც მიულოცა მშვიდობით ჩამოსვლა და გააცნო ისტორიულად აწინდელი მისი სამწყსო. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის დროსაც ვრცელი სიტყვით მიმართა დამსწრე ხალხს მისმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ, რომელშიაც დაახლოვებით ის აზრი გამოსთქვა, რომ შეძლების დაგვარ იშრომებს თვის სამწყსოს წარმატებისათვის. პარაკლისის შემდეგ ექსარხოსი ლიტანიით წავიდა საექზარხოსო სახლის კარის ეკკლესიაში. ლიტანიას წინ მიუძღოდნენ ამქრები ბაირაღებით, შემდეგ სასულიერო სემინარიის მოსწავლენი, მგალობელთა გუნდი და სამღვდელოება. როდესაც ექზარხოსი ეკკლესიიდგან სადგომის დარბაზში გამობრძანდა, მას მიეგება კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მელიქიშვილი, სამოსწავლო ოლქის უფროსი ზავადსკი, კომენდანტი რეიტერი და სხვანი. ექზარხოსმა ყველა დამსწრე საპატიო პირთ ჩამოუარა და გაეცნო. შემდეგ საექსარხოსო დარბაზში გაიმართა მცირე საუზმე.

⁂ იანვრის 1-დგან აკრძალეს ყარსსა და ტფილისს შუა, რკინის გზის ლიანდაგის დაყოლება სოფლის გზებზე საქონლის ჯოგების ტარება. ჯოგის პატრონები ვალდებულნი არიან თავიანთი საქონელი უსათუოდ რკინის გზით ატარონ. ამიტომაც ამ გზის შტოზე სად. ნავთლუღიდგან სად. შილალამდის საბეითალო ზედამხედველობა დაევალა ტფილისის სადგურის ბეითალს ლიუბიმოვს.

⁂ გუშინ წინ, იანვრის 3-ს, საღამოთი, ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ვ. ლ. ვედენეევის მოკვლა განუზრახავთ. ვედენეევი თურმე თავისს კაბინეტში იდგა და ალბომს ათვალიერებდა. ამ დროს ვიღაცამ თოფი ჰკრა ქუჩის გაღმა შტაბს-კაპიტანის ტომილოვის ახალ, ჯერ დაუმთავრებელ, შენობიდგან და მძიმედ დასჭრა იგი. ვედენეევს ტყვია მოხვედრია მარცხენა ჰკელში და გარჩენია ფილტვებში.

⁂ გუშინ საღამოს 9½ საათზე ჭრილობისაგან **გარდაიცვალა** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი **ვედენეევი**.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატამ სთხოვა ქალაქის თვით-მმართველობას მოახდინოს არჩევა სახელმწიფო გადასახადის გამწერის კომისიის წევრებისა.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატამ მოსთხოვა სახლის პატრონებს, რომ ამ თვის შვიდამდე მიაწოდონ მას ცნობები, თუ რომელს მათგანს რამდენი აქვს შენობებიდგან შემოსავალი. ეს ცნობები საჭიროა პალატისათვის სახელმწიფო გადასახადის გასაწერად ქალაქის მამულებზე. ის სახლის პატრონები, რომელნიც დროზე არ წარადგენენ ამ ცნობებს, დაჯარიმებულ იქმნებიან.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განუმარტა თავისს წარმომადგენელს კავკასიაში, რომ იჯარით გაცემულ სახელმწიფო მიწების ზედამხედველები უსათუოდ თავთავიანთს რაიონებში უნდა სცხოვრებდნენ და არა სხვაგან სადმე.

⁂ საქართველოს ექზარხოსს ალექსის ჩამოჰყვა პეტერბურგიდგან საეკლესიო-სამრევლო სკოლების ინსპექტორი დეკანოზი მ. ვოსტორგოვი.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გუშინ ქალაქის გამგეობას მოუვიდა მოწერილობა, რომ სამინისტროს წარუდგინონ ცნობები, თუ სულით-ავადმყოფთა რამდენი თავშესაფარი აქვთ ტფილისში და ან რა ეხარჯება ამისთვის ქალაქს, აგრეთვე სად და რამდენი ასეთი თავ-შესაფარია ტფილისის გუბერნიაში, ვისი ხარჯით ინახება, რამდენი ავადმყოფები არიან მათში, არის თუ არა განზრახვა ააშენონ სულით-ავადმყოფთა ახალი თავ-შესაფარ სადგომები, ან ვისი მეთაურობით და სხ.

⁂ სამშაბათს, 8 იანვარს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდება საჯარო ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებზე დარჩენილია ბანკის გარდასახადი და რომელნიც გაუყიდველნი დარჩნენ წინანდელ დეკემბერში მოხდარ საჯარო ვაჭრობაზე.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელ ნომერში (3) „გაკვრით“-ში ლექსის სათაური შეცდომით იყო დაბეჭდილი „ამოტანა“; უნდა იყოს „ამიცანა“.

იმერეთის ამბები.

⁂ **ქუთაისი.** 24 დეკემბერს შეუსრულდა 40 წლის სამსახური აქაურს სომეხთა მღვდელს დეკანოზს ტერ-დავით იარალიანცს. იმ დღეს დილით შეიკრიბნენ მისნი პატივის-მცემელნი, წარმომადგენელნი სომეხთა მრევლისა, ქართველობისა და ებრაელებისა სომეხთ სამრევლო სკოლის დარბაზში და მიულოცეს იუბილარს ეს მისთვის ღირს-შესანიშნავი დღე. მეორე დღეს სომეხთ მრევლმა სადილი გაუმართა იუბილარს და ამ სადილზედ მოიწვია ყველანი, ვინც-კი პატივი სცა დეკანოზს და პირადად უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე და განგრძობა ნაყოფიერის შრომისა თავისის სამწყსოს სასარგებლოდ. წინა დღესაც და მეორე დღესაც იუბილარს მრავლად მოუვიდა მილოცვის წერილები და დეპეშები სხვა და სხვა ქალაქიდგანა და დაბიდგანა. სადილზედ ბევრმა წარმოსთქვა სიტყვა იუბილარის საქებრად.

ტერ-დავითი მართლა ფრიად მხნე და თავისის ეროვნების მოყვარული მწყემსია. იმის მეცადინეობით მშვენიერი სკოლა დაარსდა ქუთაისში. შენობა ამ სკოლისა სამ-სართულიანია და 50,000 მან. ჰღირს თითქმის. მისივე მხნეობით აგებულ იქნა დიდი ეკკლესია სომეხთათვის. ეკკლესიებსა და სკოლებს აშენებდა ტერ-დავითი არა მარტო თავის სამწყსოს საჭიროებათათვის, არამედ ყველგან ქუთაისის გუბერნიაში, სადაც-კი სომხები საკმაოდ ეგულებოდა: ჩხარში, საჩხერეს და სხ.

ტერ-დავითის პატრიოტულის მოღვაწეობის ნაყოფია, რომ ქუთაისის სომხობა, რომელიც თითქმის არაფრით განირჩეოდა ქართველობისაგან ამ 20—30 წლის წინად, დღეს სულ სხვა სურათს წარმოადგენს. აქაური სომხობა ახლა გაცნობიერებულია ეროვნულის მხრით, ცალკე ჯგუფს წარმოადგენს და სომხურის ენის შესწავლასაც ეტანება, მეტადრე ახალი თაობა. მოზარდნი ხომ სკოლაში წარმატებით სწავლობენ სომხურს წერა-კითხვას და სომხურს ლაპარაკს.

სწორედ მადლობით მოსახსენებელია თვის სამრევლოსაგან ასეთი თავდადებული და მხნე მწყემსი, რომელიც სახარების სიტყვების აღსრულებას სცდილობდა სავსებით: მწყემსმან კეთილმან დასდოს თავი თვისი თვისის სამწყსოსათვისაო.

ურიგო მაგალითი არ არის ტერ-დავითის მოღვაწეობა ზოგიერთის ჩვენის მღვდლისა და მწყემსისათვისაც.

⁂ **ოქუმი** (სამურზაყანო). სამურზაყანოს ნაწილის ახალმა უფროსმა ყურადღება მიაქცია სასოფლო გზების უვარგისობას, აკეთებინებს და ხრეშს აყრევინებს მათზე.

აქეთ ნამდვილი გაზაფხულის დარებია. თოვლი მხოლოდ მთებზე დევს.

⁂ **ს. გოდოგანი** (ქუთ. მაზრა). ეს სოფელი ზედ აკრავს ქალაქს ქუთაისს და მცხოვრებლები, სხვა სოფლელებთან შედარებით, ნივთიერად შეძლებულნი უნდა იყვნენ, მაგრამ **გზები** ისეა **გაფუჭებული**, რომ არა თუ ურმით, ცხენითაც შეუძლებელია ზედ სიარული.

ზოგიერთის განათლებულის გოდოგნელის მეცადინეობით სოფლის ყრილობაზე გადასწყვიტეს და სათანადო განჩინება დაადგინეს კიდეც, რომ **დაარსონ საეკლესიო-სამრევლო სკოლა.**

განჩინება ამ ჟამად ეპარქიალურს კანცელარიაში არის დასამტკიცებლად წარდგენილი.

დაბა და სოფელი

ქუთაისი.

ქუთაისის სახალხო წარმოდგენების კომისიამ წრევანდელს სეზონში 29 დეკ. მესამე წარმოდგენა გამართა. მოთავენი, როგორც ეტყობათ, უანგაროთ შრომას არა ჰზოგავენ ამ საქმისათვის, მაგრამ ჯიბის სიღარიბე მათს კეთილს განზრახვას შესამჩნევად ფრთებს აკვეცავს, საწადელს ვერ აღწევენ. ეს კეთილი განზრახვა და სურვილი ქუთაისში გახლავთ „სახალხო სახლის“ აშენება, რასაც ქუთათურმა ხალხის გულშემატკივრებმა სწორე დროზედ აუღეს ალღო, მაგრამ ვაი რომ საქმეს ჩვენებურ საზოგადოებრივ გულგრილობის გამო კუს ნაბიჯით სვლა

ეტყობა: თანხას თითო-ოროლა გროშის დამხმარე, მართალია, ჰყავს, მაგრამ ტფილელ ზუბალაშვილივით უხვად წვლილის გამომღები ჯერ არავინ აღმოუჩნდა. უამსახლოდ ამ ჟამად სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა დიდათ ბრკოლდება და ამისი მიზეზია, რომ 4—5 თვის განმავლობაში სულ ორი თუ სამი წარმოდგენა გაიმართა, მეტი ვერა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარს წარმოდგენებზედ თეატრში ტევა აღარ არის ხოლმე, სკამებსა და სკამებს შუა გასავალი ადგილი აღარა რჩება.

ამ რიგად ჩვენი შეძლებული მოანდერძე მამულიშვილები ამ ახლად აღორძინებულს სახალხო მოთხოვნილებას სრულიად ყურადღებას არ აქცევენ და თავიანთის შეძლებით ისევ გერძო კაცებს უსქელებენ ჯიბეებს, საამგვარო საქმეებისათვის ათასში ერთს არ წაუცდება ხელი და ან თუ წაუცდა, ისიც საგლახაო ხასიათის ქველმოქმედებას არა სცილდება.

ამ გვარს მდგომარეობაშია დღეს ქუთაისის სახალხო წარმოდგენების კომისია, მაგრამ იგი მაინც გულს არ იტეხს და გროშებს წვრილ-წვრილად სახალხო სახლის ფონდს უმატებს და იმედი აქვს, რომ ოდესმე საძირკველს უთუოდ ჩაუყრის. ამიტომ დიდად სასურველია, ვისაც-კი რით ეხერხება, მათს ამ გვარს მოღვაწეობას ხელი შეუწყოს. ხოლო ქუთაისის ქალაქის მმართველობის მიუცილებელს მოვალეობას შეადგენს ჯერ-ჯერობით კომისიას სახალხო წარმოდრენებისათვის ქალაქის თეატრი მუქთად დაუთმოს, რაც მოთავეთა მოქმედებას დიდად ნაყოფიერს ჰყოფს და საქმეს წინ წასწევს.

ქუთათური ინტელიგენცია თუ წარმოდგენებით ეხმარება დაბალს ხალხს, არც გურულები ჩამორჩნენ (ის კი არა, გაასწრეს კიდეც) ამათ ხალხისადმი გულშემატკივრობის საქმეში. თუ პირველნი ზნეობრივის აღზრდით ეხმარებიან დაბალს ხალხს, მეორენი უფრო რეალურის დახმარებით აგვირგვინებენ თავიანთს ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობასა.

გურულების სწავლა-განათლებისადმი მისწრაფება, არა თუ მთელს კავკასიაში, თამამად შეიძლება ვსთქვათ, მთელს რუსეთშიაც სამაგალითო მოვლენაა, და ამიტომაც სრულიად ღირსია თანაგრძნობისა და მიბაძვისა. სოფლის მასწავლებლებმა, აუღეს-რა ხალხის ამგვარს მისწრაფებას ალღო, სკოლებითა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებით მოჰფინეს თითქმის ყველა შოზრდილი სოფლები გურიისა. დიდი და სამაგალითო შრომა მიუძღვისთ მათ ხალხის გაგონიერება-გაცნობიერების საქმეში, რაიცა, უეჭველია, ოქროს ასოებით აღინიშნება ჩვენის ქვეყნის წინმსვლელობის ქრონიკაში.

დღეს-კი ამ მიზნის მისაღწევად გურიის სოფლის მასწავლებლებს, ძმ. შარაშიძეებს ჩვენებური „მეალილოობაც" გამოუყენებიათ: შეუდგენიათ რამდენიმე ჯგუფი გურულ მეალილოებისა და შობის მისალოცად დასვლეთ საქართველოს ქალაქებში: ბათუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა და ზოგან დაბებსა და სოფლებშიაც გამგზავრებულან. ამ მამა-პაპურ ჩვეულებისათვის ახალი დანიშნულება მიუციათ და ხალხისაგან ამ გზით შეკრები თანხა ხალხისავე სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ ფონდათ დაუდვიათ. ამ გვარად ძველთაგან ნაანდერძევი სამხიარულო, სარწმუნოებრივის ხასიათის ჩვეულება, რომელიც მეალილოებს თავიანთის საკუთარ ჯიბეების გასასქელებელ საშუალებადა ჰქონდათ გადაქცეული, ძმ. შარაშიძეებს ხალხის საკეთილდღეოდ მოუხმარიათ.

ერთი გუნდი მეალილოვეთა ამ დღესასწაულებში ქუთათურებსაც გვეწვია და რომ სხვა თავ-მომაბეზრებელ მეალილოვეთაგან გაერჩიათ, ესენი სადარბაზო ბარათების შეგზავნით ატყობინებდნენ მსურველებს თავიანთს ვინაობასა და მიზანს, რომელიც ამ ნაირად იყო გამოხატული: „თქვენმა საზოგადო საქმის წინმსვლელობის მომხრეობამ შეგვაყენა კადნიერების საფეხურზედ და განვიძრახეთ: თუ ნებას გვიბოძებთ, მოგილოცოთ გურული „ალილოთი" ქრისტეს შობა;—სამაგიეროთ ინებეთ და შემოსწირეთ სოფელ ციხის მომავალს სამკითხველოს მცირედი წვლილი". მასწავლებელნი ძმ. შარაშიძენი.

მაგრამ გურულ მეალილოვეთ ერთი რამ დავიწყებოდათ, სახელდობ, კარგანი გურული ჩაცმულობა, რომ თავიანთის მსმენელ-მაყურებლების ყურადღება გარეგნობითაც მიეპყროთ. როგორც გადმოგვცეს, ძლიერ საჩქაროთ თურმე მოუწვევიათ მგალობელთა გუნდნი და ამის გამო ბევრი რამ ვერ გაუთვალისწინებიათ მერმის აღმოსავლეთ საქართველოს თურმე უპირებენ წვევას. ამრიგათ, თუ დღეს ადგილობრივ 300—400 მან. შეკრიბეს, საკაისოთ, იმედია, ამ თანხას ათასამდე აიყვანენ, გურიის სოფლებს რამდენიმე ახალს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესძენენ.

P. S. შარაშიძეების საქმემ გამახსენდა მართლა, რომ ქუთაისში ამ სამის წლის წინედ ბახვის სკოლის მასწავლებლების პატივ-საცემად ფული იქმნა შეკრებული (ვგონებთ 38 მან. იყო) სწორედ ამ აზრით. მაგრამ, მერე რაღაცა მიზეზისა გამო დანიშნულებისამებრ ვეღარ მოიხმარეს. ეს ფული (არ ვიტყვით, შეუჭამიათ) ჩვეულებრივად დღეს კერძო კაცის ჯიბეში სძევს უსარგებლოდ; თუ რომ სხვა უკეთესი დანიშნულება ვერ გამოუძებნიათ, ურიგო არ იქმნება, ფული ძმ. შარაშიძეებს გადასცენ.

ისო.

ხმა გორიდგან

დიდის ხნის ყოყმანისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ გორში ქსენონი დაუარსებიათ. დიდება და მადლი ღმერთსა!.. ამითი გორს ერთი ნაბიჯი გადაუდგამს იმ სანატრელ და ნათელ გზისაკენ, რომელსაც პროგრესი ჰქვიან, მაგრამ, თითქოს შეშინებია, ძველი ტყავის გაძრობის სურვილი არავინ შემომწამოსო და... თვისი „წინ სრბოლა" შეუჩერებიათ. მაგრამ ეს მოვლენა მაინც ფრიად სასიამოვნოა, საგულისხმოა. მოგეხსენებათ, როდესაც ბავში ჭოჭინის შემწეობით იდგამს ფეხს, თუ ღმერთი შეეწია და ერთხელ გაიარა უჭოჭინოდ, მეორედ და მესამედ გავლა უადვილდება, ბოლოს-და-ბოლოს რწმუნდება კიდეც, რომ სრულიად არ არის ისეთი საშიშარი უჭოჭინოდ სიარული, როგორც ეგონა და მალე ეჩვევა თამამად სიარულს. ვუსურვებ გორსაც, მალე დარწმუნდეს, რომ არც ეგრე საშიში და საძნელოა სასარგებლო დაწესებულებათა დარსება, როგორც ჰგონია და ქსენონს მოჰყოლოდეს წიგნთ-საცავ-სამკითხველოც, თეატრიც და სხვა.

სწორედ სამწუხაროა აქაურ ახალგაზდათა უმოქმედობა. დავეთანხმოთ იმ აზრს, რომელითაც ისინი მუდამ მართლულობენ თავსა, ვითომც წიგნთ-საცავს და სხვას ბევრი ფული უნდა. ეს კარგი, მაგრამ განა ბევრი რამ სჭირდება საკვირაო სკოლას, ხალხისათვის წიგნების კითხვის შემოღებას?! ღმერთი, რჯული —ბევრი არაფერი, შრომისა, ცოდნისა და სურვილის მეტი. გადაჭრით რომ სთქვან, სწორედ ეგ ღირსებანი გვაკლიაო, უფრო ემჯობინებოდა.

ზოგიერთები ჩასციებიან საბრალო სოფლ. მასწავლებლებს: სამოცს მოსწავლესაც კარგად ასწავლე ყველა საგნებიო, საკვირაო სკოლაც დაარსეო, წიგნებიც უკითხე ხალხსაო, მებაღეც იყავი, მებოსტნეც, ფუტკარიც გაიჩინე, აბრეშუმის ჭიაცაო და, ვინ იცის, კიდევ რას არ ახვევენ თავზე! ბევრი წელებზედ ფეხს იდგამს და „დაუვალებლადაც" ასრულებს ყველა ამას: ხოლო... ღმერთო ჩემო? „სად არის კაცი?" გორელ ახალგაზდა მასწავლებელთ და ჩინოსანთ სწორედ „დაავალოს" მაინც საკვირაო სკოლის დაარსება და კითხვა წიგნებისა ხალხისათვის. მაგრამ, წელანაც აკი მოგახსენეთ, „სად არის კაცი? მე არსად ვიცი"

ისევ თუ აკეთებს რასმე, მოსწავლე ახალგაზდობა. ამ უქმეებზედაც წარმოდგენას გვპირდებიან. ვნახოთ, რა იქნება!

როგორც აქაურმა ფოსტის მოხელემ გადმომცა, გორში მოდის: „ივერია" 20, „ცნ. ფურცელი" 26, „კვალი" 5, „მოამბე" 25, „ჯეჯილი" 3, „მოგზაური" 4, „კავკაზი" 22, „ნოვოე ობოზრენიე" 23, „არგონავტი" 3, „ტ. ლისტოკი" 65, „მშაკი" 6 და „ნორდარი" 2, აქედგან სჩანს, რომ ხუთს ქართულს რედაქციას არა ჰყავს გორში იმდენი ხელის მომწერი, რამდენიც მარტო „ტ. ლისტოკს". მაგრამ, დამავიწყდა, რომ აქაურებმა „კარტული" ხეირიანად არ იციან. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ რიცხვებში ახლო-მახლო სოფლის ხელის მომწერლებიც შიგ ურევიან, მაგალითად, ხუთ „კვალიდგან" გორელებს, ვგონებ, ორი-ღა რჩებათ. აი კიდევ ესეც „გორული საკვირველება". 15 ათასი მცხოვრებელი და ორი „კვალი"! მე ვგონებ, საიქიოდგანაც-კი შესაძლებელი რომ ყოფილიყო გაზეთების გამოწერა, იქაც-კი 15 ათას ადამიანში ორზედ მეტი აღმოჩნდებოდა გამომწერი. ესევე ითქმის სხვა ქართულ გაზეთების შესახებაც. მაგრამ, კმარა... ზოგი კვლავ იყოს.

განო გიუნაშვილი.

თეატრის მუშაკთა სადიდებლად.

(წაკითხ. იყო ქართ. თ. 2 იანვარს).

ჩაქრა ლამპარი დიდებული ხალხის იმედი,
განქარდა ძალა, განქრა სხივი მანათობელი,
ბნელმა მოიცვა არე-მარე უნუგეშობით,
ჯანღი ბურუსი გადაეკრა ქვეყანას მკვლელი.

—

და ეს ქვეყანა ნაღველ-დარდით გამწარებული,
არარაობით, უმეცრებით შეშინებული,
დასტირის კარეს ბედს, დაჰკვითინებს, იგლოვს მწარედა;
იგლოვს გმირებსა, ლვაწლ-მოსილებს შეწუხებული!

—

უიმედობამ შეუხუთა ვაჟკაცთაც სული,
უშინაარსო ცხოვრებამა მოჰკლა სურვილი.
ალკაზმა რაში გენიოსმაც უიმედობის,
გულში ჩაიკლა სიყვარული, მეტის წყურვილი.

—

ამ წყვდიად მოცულს, ხალხის მდორე ცხოვრების ტბაში
თითქოს ნუგეშის მომცემელი ნავიც არსად სჩანს,
თითქოს დაღლილი ბევრის ცურვით უნდა დაინთქეს...
საბედნიეროს ერთი ბეწვა ვერ ვხედავთ ნიშანს...!

—

მაგრამ ცხოვრების გზა და კვალი უცდომელია.
მან ამ შავს ფარდას ნელ-ნელ მიჰყო მმუსვრელი ხელი,
კალთა მოჰგლიჯა, შეაშუქა გონების სხივი...
აინთო მქვარი განათლების, შეძრწუნდა ბნელი!

—

გაცისკროვანდა იგი შუქი, ხალხს გაეღვიძა...
გმირნი აღმოჩნდნენ—არვინ არის მათი შესადრი,
ჩვენ მათ შევძახეთ—გასართობი, რამ გონებრივი.—
და აჰა გმირთაც დაგვიარსეს სკოლად თეატრი!

თავ. გ. ერისთავი.

ვინც ენა მშობლის ივერიელთა,
ენა მახვილი და ენა ტკბილი,
პირველ გვასმინე საჯაროდ ყველას
და შეგვაყვარე ვით ძმა და შვილი!

—

შენ, ვინც პირველმა გაჰკარი ტალკვესს
და ჩვენში გრძნობა ჩამოაკვესე,
რომელმაც ენის თაყვანის-ცემა
და სიყვარული გულს შთაგვითესე...

—

ჩვენ წილ მოგვეზლოს იმავე ენით
კურთხევა ხალხის, კურთხევა ერის,
რომელიც აგერ ტკბილის ღიმილით
და მოწიწებით შენ შემოგცქერის!..

—

დღეგრძელი იყოს შენი სახელი
და შენი ხსოვნა ზეცად ამიერ,
დღეს დადაფნილო ჩვენ ყველასაგან,
უვიწყი იყავ მრავალ-ჟამიერ!!

ზურაბ ანტონოვი.

ვით ცალ-მარგილზე ლობე წნულისა
უსხვა მარგილოდ არ მოიწნება,
ისევე ძალა ერთის კაცისა
დიდ საქმისათვის მქრალადა ჩნდება!.

—

და აჰა იგი—კაცი მეშველი,
ენა მახვილი, დარბაისელი,
გამოეცხადა დიდ საქმის დამწყებს,
შეიქმნა მისი მარჯვენა ხელი!!

—

კურთხეულ იყოს იგი მარჯვენაც,
„მზის დაბნელება" რომ დაგვიწერა—
და მოგვაჩვენა ვითა სარკეში
ჩვენნი ცოდვანი და ბედის წერა!.

დიმიტრი ყიფიანი

უცხო მწერალთა ძვირფასს საუნჯეს
ტკბილის ჰანგებით, კეკლუცის ენით
ვინცა პირველად მოჰკიდა ხელი
და გაგვიტაცა მისის მოსმენით...

—

ვაშა შენს სახელს, ტკბილო მოხუცო!
ვაშა შენ საქმეს სამირკვლიანსა,
ვერთა შვილნი არ ივიწყებენ
შენგან განვლილსა გზა სეკლიანსა!!

თავ. რაფიელ ერისთავი

ხალხის გულისა მესაიდუმლე,
მაღალ გრძნობების ტკბილი მღერალი
ჩვენი მოხუცი წყნარი რაფიელ
სცენისა იყო დიდი ტრფიალი....

—

ხან „ბიძიასა გაეხუმრება",
ხან „ჯერ დაჰხოცავს, მერე ჯვარს დასწერს",
ხან ცრუ ვექილებს პირ-ბადეს ახდის
და ამ ნაირად გვატკბობს და გვალხენს!...

—

აჰა მოხუცი, ეს დიდებული!
შენის მგოსნობით ჩვენ ვართ დამტკბარი...
ნურვინ იფიქრებს, რომ ანთებული
შენ მიერ ჩვენთვის განქრეს ლამპარი!!

თავ. დავით ერისთავი

დიდის საქმისა დამწყების შვილი,
ქართულის სცენის დიდი ერთგული
უდროოდ მოკვდა, მაგრამ ჯერ ჩვენში
ცხოვლად ტრიალებს იმისი სული!

—

არ დაივიწყებს მას მის სამშობლო,
სადაც გვიხატავს წამებულ გმირებს!
ღმერთო, კურთხევას შენ ნუ აალებ
ამ გვარ მოღვაწეთ და ამ გვარ პირებს!.

—

ალექსანდრე ყაზბეგი-მოჩხუბარიძე.

ვინ არ დამტკბარა მის „ელგუჯათი"?
ვის არ უნახავს მისი „არსენა"?
ან წამებული „ქეთევან-წმიდ"ა,
ან მისის „მოძღვრის" ცრემლების დენა?..

—

წარვიდა, განქრა, თვალთ მიგვეფარა,
სამშობლო მთებში სულით ტრიალებს,
იმის ცივ ლოდზედ ნამდვილის ქართვლის
მამულის შვილის დროშა ჰფრიალებს!!!

თავ. ივანე მაჩაბელი

ვით ნაკადული გადმოვარდნილი
მაღალის კლდიდგან მორბის, ჩანჩქარებს,
ეგრე ივერის ქართული ენა
მის კალმის წვერზედ სდუღს და მღელვარებს...

—

მან ამ საუნჯით კიდეც შეგვძინა
სხვა საუნჯეცა უფასო, ძვირი....
პოეზიისა ხიდად გაგვიხდა
და აქ მოგვგვარა ზღვიდგან შექსპირი...!

—

ქართველი ერი არ დაივიწყებს
ღვაწლსა შენ მიერ აქ დადებულსა
და მომავალიც მარად შემოგძლვნის
ვაშას გონება გაბრწყინებულსა!!

ნარკვევი.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ამ დღეებში პეტერბურგში სომხურ სიტყვიერების დოკტორობაზედ დისერტაცია დაიცვა ექსტრაორდინარი პროფესორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა ნ. ი. მარრმა. საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ამის შესახებ გაზ. „Петерб. Вѣдомости".

„დისპუტის დაწყებისათანავე პროფესორმა კოკოვცევმა განაცხადა, რომ როგორც ქართულისა, ისე სომხურისა ძალიან მცირედი ცოდნა აქვს (ქართული კითხვა არც-კი იცის); ამისათვის არსებითად ვერავითარს შენიშვნას ვერ მისცემს დისერტაციის დამწერს, მაგრამ ოფიციალური ოპონენტის მოვალეობა მაიძულებს მხოლოდ საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის შენიშვნები მივცე, რომელთადმიც ხელი მიმიწვდება, როგორც ებრაულის ენის პროფესორს, რაც შეეხება მეორე ოპონენტს პროფ. ბარონს როზენს, ამანაც ასევე გულ ახდილად განაცხადა, რომ ქართულისა და სომხურის ენისა უფრო ნაკლები ცოდნა აქვს, ვიდრე პირველს ოპონენტს, ამისათვის რამდენსამე მეტოდოლოგიურ ხასიათის შენიშვნას მისცემს, რომელიც სამეცნიერო სალიტერატურო ასპარეზზედ მომუშავეს ყველას ერთნაირად შეუძლიან, რა სპეციალურ ცოდნისაც უნდა იყოსო იგი".

და ამის შემდეგ კიდევ შეიძლება განა იქონიოს ადამიანმა წარმოდგენა, რამდენად ღირსეულად ეძლევათ ჩვენს ახალგაზდა მეცნიერებს სხვა-და-სხვა გვარი სამეცნიერო ხარისხი? თუ წარმოვიდგენთ იმ გარემოებას, რომ ბ-ნის მარრის დისერტაცია სომხურიდგან ქართულად ნათარგმნს ხელთნაწერზედ იყო მთლიანად აშენებული და, მაშასადამე ამ ხელთნაწერის შესწავლისა და ცოდნის შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ შრომის ღირსეულად დაფასება, რის საშუალებაც ოფიციალურს ოპონენტებს არა ჰქონდათ, მაშინ, ეჭვი არ არის, დიდათ განსაცვიფრებელი და საგულისხმო უნდა იყოს ის გარემოება, რომ სამეცნიერო ხარისხს ასე ადვილად ანიჭებს ფაკულტეტი!..

რუსეთი

— სასულიერო უწყებებში განკარგულება მოუხდენიათ აცნობონ მრევლს, რომ თუ კანონით ნება დართულ ვადამდე ვისმე ჯვრის წერა აქვს განზრახული, თხოვნით უთუოდ ადგილობრივს ეპისკოპოსს მიჰმართონ ხოლმე და დაწვრილებით აუხსნან,— რა და რა გარემოება აიძულებთ, რომ ამ კანონიერს მოთხოვნილებას გვერდს უხვევენ. ამასთანავე სავალდებულოა, უთუოდ თხოვნას სასიძო-სარძლოს მშობლებმა ან ოპეკუნებმა მოაწერონ ხოლმე ხელი.

— საშუალო დ დაბალ სასწავლებლების ცვლილებასთან ერთად საერო განათლების სამინისტროს განზრახვა, აქვს, ლაპარაკი აღძრას აგრეთვე იმის შესახებ, თუ მოსწავლეებზედ რა რიგი მეთვალყურეობა უნდა იქონიონ.

— რადგანაც საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს საშუალო სასწავლებლებში სასჯულო მეცნიერების სწავლება შემოიღოს, ლაპარაკი აღუძრავთ მასწავლებლებად ვინ მიიწვიონ—სავანგებოდ ამ საგნის მცოდნე იურისტები თუ ისტორიის მასწავლებლები.

— მომავალს 1902 წელს საზღვაო სამინისტროს განზრახვა აქვს 100 მილიონამდე მანეთი დახარჯოს: ახალის გემების ასაგებად და შესაიარაღებლად 37.000,000 მან., იმპერატორის ალექსანდრე III ნავთ-სადგურის გასაკეთებლად—4 მილიონზედ მეტი, ვლადივასტოკისა და არტურის ნავსადგურებისათვის 5 მილიონზედ მეტი, ქარხნებსა და სახელოსნოებზედ—ექვს მილიონამდე, სასწავლებლების შენახვაზედ მილიონზედ მეტი და სხ.

— სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა კრებაზედ პეტერბურგში, სხვათა შორის ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ დედათა განათლების საქმეს მეტი ყურადღება მიექცეს, დაარსდეს დედათა სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტი, შემოიღონ უნივერსიტეტებში საფიზიკო ქიმიის სწავლება და სხვ. კრებას, სხვათა შორის, მიუღია რუდოლფ ვირხოვის მისალოცი წერილიც, რომლის წაკითხვასაც კრებაზედ ყველანი დიდის აღტაცებით შეჰგებებიან.

— საერო განათლების სანინისტროში ლაპარაკია აღძრული, რომ იურისტებს მისცენ ისტორიის მასწავლებლობის უფლება.

წერილი რუსეთიდან

დასუსტება ცენტრისა და გაძლიერება განაპირა ქვეყნებისა.

დიდი ხანია, რუსეთის მთავრობა, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტრო დიდს ყურადღებას აქცევს ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენთვისაც არ არის ინტერეს-მოკლებული. ვინც საზოგადოდ რუსეთის და კერძოდ ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ ვითარების ცვლილებას ადევნებდა და ადევნებს თვალ-ყურს, შეამჩნევდა შემდეგს მოვლენას: რუსეთის შუაგული გუბერნიები თან და თან დარიბდებიან და ხშირად ითმენენ მოუსავლობასა და შიმშილს. თუ შუაგულ რუსეთში ასეთი უბედურება ტრიალებს—განაპირა ადგილებში, რომელიც უცხოეთის საზღვრებს ემეზობლება (პოლონეთი, ვოლინი, კავკასია და სხვ.), სულ სხვას ვხედავთ: მეურნეობა-მრეწველობა, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, სწავლა-განათლება საშინელის სისწრაფით (რასაკვირველია შედარებით) ვითარდება. ასეთმა გარემოებამ დიდი ხანია გამოიწვია ცხარე სჯა-ბაასი, როგორც ოფიციალურ დაწესებულებათა შორის, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში. ამ საგნის გამორკვევას კერძო სპეციალური ხასიათი-კი არა, საერთო—სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. „რად სუსტდება ცენტრი, შუაგული რუსეთისა და რად უმჯობესდება პროგრესიულად განაპირა ადგილები"? სწორედ ამ საგნის გამოსარკვევად დაიწყო ამ ჟამად მუშაობა ფინანსთა სამინისტრომ. დაარსებულ იქმნა უმაღლესად განსაკუთრებული კომისსია. უკანასკნელმა უნდა გამოიძიოს ყველა მიზეზი და შემდეგ მოსძებნოს ღონისძიებანი ასეთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუშაობა ცალმხრივი არ იქნება, იგი უფრო რუსეთის (აგრეთვე ჩვენის ქვეყნის) საერთო ეკონომიურ სურათს დაგვიხატავს. ასეთ შრომისთვის დაარსებულ კომისიას მეტად ფართო მოედანი ექნება თვალ-წინ გამოსაკვლევად.

საკითხი ეს არის, რომელ ვითარებას და რამდენად აქვს გავლენა ამა თუ იმ ქვეყანაზედ! რა გარემოება უფრო ეხმარება ხალხის კეთილდღეობას? აქ ბევრი რამ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ. სწავლა-განათლების გავრცელება და ხალხის კულტურული განვითარება, მცხოვრებთა რაოდენობის მეტ-ნაკლებობა, ეთნოგრაფიული კერძოობა; განაპირა ადგილებში ჯარის თავის მოყრა, რომელიც ერთსა იმავე დროს იაფ მუშა ძალასაც წარმოადგენს და იაფურ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოების მომთხოვნელთა სიმრავლესაც, მიწის საკუთრების, ფლობელობის და სარგებლობის ფორმა და ვითარება და სხვ. თუმცა სამინისტროს სურს, შეეხოს მარტო ეკონომიურ ვითარებას, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ასე ვიწროდ შემოფარგვლა საგნისა, გაკვრით მაინც უნდა შეეხოს მრავალ სხვა გარემოებასაც. ჰკავს: აგრიკულტურა, გარე საზღვრების სიშორე, ნავთ-სადგურების უქონლობა და სხვ., რასაკვირველია, ჰმოქმედებს შუაგულ რუსეთზედ, მაგრამ ეს ვითარება წინადაც არსებობდა, სტატისტიკის ცნობათაგან-კი სჩანს, რომ ამ მოკლე დროს განმავლობაში ცენტრი რუსეთისა მეტად დაბეჩავდა. მაშ უმთავრესი მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ. მიზეზი უფრო ის ეკონომიური და ოჯახური წყობილობაა, რომელიც შუა-გულს რუსეთში სუფევს. მართლაც, აიღეთ თუნდ პურის მოყვანა. მთელ რუსეთის შუაგულში პურის გარდა არა მოჰყავთ-რა. ამაზეა დამყარებული მცხოვრებთა ბედ-იღბალი: კარგი მოსავალი თუ მოვიდა—ხალხიც კმაყოფილია, მოუსავლობა-კი იწვევს ათასგვარ უბედურებას, რომელთა შორის შიმშილს უპირველესი ადგილი უჭირავს. გასაგებია ისიც კიდევ, რომ მთელის წლის განმავლობაში არ შეიძლება პურის მოყვანისათვის იშრომოს ხალხმა შიდა რუსეთში; ნახევარ წელიწადზე მეტს ხანს მცხოვრებელი უქმად ატარებს დიდის ზამთრის გამო. წინად კიდევ ხალხი თავისუფალ დროს შინად-მრეწველობას ანდომებდა და აქედან სარგებლობასაც იღებდა, კარგი შემოსავალიც ჰქონდა. დღეს-კი ახალმა ცვლილებამ

ეკონომიურ სფერაში (ფაბრიკის ნაწარმოებმა) ხელი შეუშალა ხალხს, საშინაო მრეწველობას საფუძველი თითქმის მოუსპო. ფაბრიკის ნაწარმოები რომ არ იყიდოს და თვითონ გააკეთოს სახლში—ნივთი უფრო ძვირად დაუჯდება. ასეთ გარემოებაში, რასაკვირველია, ხალხი თავს მიანებებს შინად-მრეწველობას. რუსეთის სხვა ადგილებში-კი სულ სხვას ვხედავთ. იქ შინა მრეწველობა თუ შესუსტდა თითქმის, სამაგიეროდ სულ სხვა ახალი და შედარებით სასარგებლო გზა გამონახა. მაგალითად—აი განვითარდა საფაბრიკო და საზოგადო მრეწველობა (პოლონეთი, სამხრეთ-დასავლეთი მხარე, შავი ზღვის პირი, ბალტიის ზღვის ახლო მხარე), აი საზამთრო მუშაობას შოულობენ იქ, სადაც ტყის სამაგალითო მოვლა-მოშენებას მისდევენ (ეგრედ წოდებული „პოლესიე“, იგივე სამხრეთ-დასავლეთ), აი მიწაში ჩამარხულ სიმდიდრის აღმოჩენის წყალობით სამუშაო ქირამ იმატა და მუშათა მეტად დიდი რიცხვი შეიქმნა საჭირო (სხვა-და-სხვა მადნეულობა ურალზე, ციმბირში, კავკასიაში, საქართველოში, გროზნაში და სხვ.). ამიტომ ამ ქვეყნებს თუ არაფრად შეეტყოთ შინა-მრეწველობის დაკარგვა— შიდა გუბერნიებს, ანუ ცენტრს რუსეთისას მეტად უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს.

რუსეთის ეკონომიურ და საზოგადოებრივ წყობილობის ევოლუციამ დიდ რეფორმათა შემდეგ, შეარყია მთელი სახელმწიფოს ორგანიზმი; ძველი უნდა მოსპობილიყო და შექმნილიყო ახალი. ძველი მართლაც მოისპო, მაგრამ ახალი ყველგან არ შეიქმნა; ახალმა იქ იჩინა აღმოცენება, სადაც გარემოება ხელს უწყობდა ასეთს აღმოცენებას. ძველის მოსპობა და ახლის აღმოცენება იქ, სადაც გარემოება ხელს უწყობდა, აი, სად უნდა ვეძებდეთ ძირითადს და პირველს მიზეზს რუსეთის ერთი ნაწილის დაბეჩავებისას და მეორეს, გაუმჯობესებისას. ახალმა ცვლილებამ, როგორც აღვნიშნეთ, ძირიანად შეარყია სახელმწიფოს ორგანიზმი, მაგრამ ყველგან ერთგვარად ვერ იმოქმედა, რადგან ზოგიერთ ადგილს (ვოლინი, პოლონეთი და სხვ.) ისეთმა ვითარებამ ამოჰყო თავი, რომ ახალმა რყევამ მაინც და მაინც არა შესძინა რა ხალხს, აქ ზემოაღნიშნულ ვითარებამ მისცა მასალა თავისუფლად დარჩენილ ხალხის მუშა ძალას, რომელმაც მიჰყო ხელი ახალ სახის მოქმედებას-შრომას და გადარჩა დაბეჩავებას. რუსეთის ცენტრში ასეთი ვითარება არ არსებობდა, შერყეულს ორგანიზმს არ მიჰმატებია ახალი მაცოცხლებელი ძალა და ამიტომაც ეს მხარე ვრცელის რუსეთისა, ეს ოდესმე მდიდარი მხარე სახელმწიფოს უსუსტეს ნაწილად გარდაიქცა. 1891 წლის შიმშილობა და პურის ფასის დაცემამ ხომ მთლად ბოლო მოუღო და გაანადგურა იქაურობა.

მალაქია ბალქაძე.

უცხოეთი

ინგლისი. ბიულოვი და ჩემბერლენი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ: ჩემბერლენმა ბირმინგამში განაცხადა, ინგლისი ყველასა სძულს, ჩვენს სამშობლოზედ ჭორებს ავრცელებენო. ბიულოვმა კიდევ, რეიხსტაგში სთქვა, ჩემბერლენი ამაოდ სწამებს ცილს გერმანელებს და გერმანელთა ჯარსაო. შემდეგ ერთიცა და მეორეც თავ-თავის სამშობლოს პოლიტიკას შეეხო, ჩემბერლენის აზრით, ინგლისი უწინდებურად განკერძოვებული დარჩება, ეცდება მხოლოდ დახალშენებთან დაახლოვებას, დაკავშირებას. მტრისა მას არ ეშინიან: დიდიბრიტანია ყოველთვის შესძლებს თავის ინტერესების დაცვას და მტრების მოგერებასაო. სხვა ნაირად შეხედა საქმეს ბიულოვმა. გერმანიამ, იმისის თქმით, სამთა კავშირს არ უნდა უღალატოს. მართალია, გერმანიის პოლიტიკა გაფართოვდა, იმისი ინტერესები დედამიწის ყველა კუთხესა და ადგილსა სწვდება, მაგრამ კავშირი ავსტრიასა და იტალიასთან მაინც საჭიროა გერმანიისთვისაო.

— ჩემბერლენის სიტყვა ევროპის სხვა სახელმწიფოების პრესასაც არ მოეწონა. ერთი გავლენიანი ავსტრიული გაზეთი სწერს: „საეჭვოა, ინგლისის ხალხმა მადლობა გადაუხადოს ჩემბერლენს ბირმინგამში წარმოთქმულ სიტყვის გამო. არა გვგონია, ინგლისში აღმოჩნდეს სხვა ვინმე, რომელმაც ჩემბერლენივით სამხრეთ-აფრიკის ომით კვეხნა და ქადილი დაიწყოს. საოცარია ასეთი უსირცხვილობა!“

— წარსულ კვირას დუბლინში კრება ჰქონდა „ირლანდიის შეერთებულს ლიგას“, თავმჯდომარეობდა ჯონ რედმონდი. კრების დაწყებისას რედმონდმა აღნიშნა საერო მოძრაობის გაძლიერება ირლანდიაში და განაცხადა, რომ შეერთებულ ლიგას ირლანდიაში 1,230 განყოფილება აქვს. თვითეული განყოფილება მხნედ მუშაობს—აგროვებს დიდძალ ფულს „ირლანდიის ფონდის“ შესადგენადაო. განყოფილებანი ლიგას შეერთებულ შტატებშიაც ჰქონია. რედმონდის შემდეგ ცხარე სიტყვა წარმოუთქვამს ინგლისის წინააღმდეგ მაიკელ დევიტტს. ინგლისს დღეს ყველანი ზიზღით იხსენიებენო, უთქვამს დევიტტს. სხვათა სიტყვების შემდეგ კრებას მიუღია რეზოლუციები: სამხრეთ აფრიკის ომისა, მთავრობის პოლიტიკის, საადგილ-მამულო კანონებისა და სხვათა წინააღმდეგ.

გერმანია. ახალ საბაჟო ტარიფის საწინააღმდეგოდ პარლამენტში სოციალ-დემოკრატებს შეუტანიათ პეტიცია, რომელზედაც 3 მილიონ კაცსა და ქალს უწერია ხელი. ამას გარდა მრავალი სხვა პეტიციაც წარუდგენიათ. ამ დღეებში ოფიციალურად გამოაქვეყნებენ ყველა იმ პეტიციებს, რომელიც პარლამენტისთვის გადაუციათ საბაჟო ტარიფის პროექტის გამო.

— გერმანიის მთავრობას ვრეშენსა და შრიმში, იქ, სადაც პოლონელნი სცხოვრობენ, მეციხოვნეების ჩაყენება განუზრახავს. კაზარმების შენობას უკვე შესდგომიან. მეციხოვნეთა რიცხვ-ს გამრავლება გერმანიას მთელს პოზნანიაში განუზრახავს. გერმანელები მალი-მალ გაიძახიან ეხლა, რომ პოლონელნი შეურაცყოფას აყენებენ გერმანელ მოხელეებს, მასწავლებლებს, ვაჭრებს, მუშებს და სხვას, ამიტომ უნდა დავიცოთ „უდანაშაულოდ დასჯილნიო.“

სამხრეთ-აფრიკის ომი. სამხრეთ-აფრიკიდგან იუწყებიან: დევეტი ტრანსვაალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა. როგორც ამბობენ, იქ უცხო-ქვეყნელი თავისუფალი მეომარნი შეკრებილან, თან ამ თავისუფალ მეომართ 40—50 თოფი მოუტანიათო. სწერენ კიდევ, რომ ინგლისს ტყუილად აქვს იმედი ომის მალე დამთავრებისა. თუმცა მეომარ ბურთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ, ისინი, ვინც დარჩნენ, გამოჩენილი და თავზედ ხელ-აღებული მეომარნი არიან. ვიდრე ინგლისელნი სრულიად არ ამოსწყვეტენ ამ მეომართ, ომს ბოლო არ მოეღებაო.

— 6 იანვარს (ახ. სტილი) ვენეციდგან სამხრეთ-აფრიკაში წასულა ბურების საშველად 200 თავისუფალი მეომარი. ყველანი იტალიელნი არიან თურმე. წინამძღოლობს მათ აფიცერი ჯუზეპპე ლონგი.

— ინგლისს ომმა წარსულის წლის დეკემბერს ისეთივე ზარალი მიაყენა, როგორც წინ თვეებში. ამ ერთ თვეში ბურებმა მოჰკლეს, დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს 853 კაცი. თუ ამას სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან გამოსალმებულთა რიცხვს მივუმატებთ, ინგლისის ზარალი 1500 კაცს აღემატება.

— ინგლისის მთავრობას ორანჟის რესპუბლიკაში უყიდნია 20,000 ჰეკტარი მიწა, სადაც ინგლისელნი უნდა დაასახლოს. წინად 11,250 ჰეკტარი ჰქონდა ნაყიდი. მთავრობას აზრადა აქვს, ეს ადგილები ნაჭრებად დაჰყოს და გადასახლებულთ დაურიგოს. 80 ფერმერი უკვე დასახლებულა სამხრეთ-აფრიკაში.

ჩინეთი. ნანკინის და ხანკოუს ვიცე-მეფეებს წარუდგენიათ იმპერატორისათვის მოხსენება რეფორმათა შესახებ. მოხსენებაში ვიცე-მეფეები თხოულობენ 1, საზღვარ გარედ სტუდენტებისა და აფიცრების გაგზავნას სწავლის განსაგრძობად; 2, ჩინეთის ჯარის ევროპიულად გაწვრთნას; 3, დიდ მეცადინეობას ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად; 4, იმ კანონების გამოცემას, რომელნიც ვაჭრობას, გზების გაყვანასა და ქვამადნებს შეხება; 5, ერთ გვარის ფულის შემოღებას; 6, ფოსტის საუკეთესოდ მოწყობას; 7, საუკეთესო წიგნების გადათარგმნას ჩინურ ენაზედ.

— ინგლისურ გაზეთ „Times“-ში პარიჟელი კორესპონდენტი ამ გაზეთისა ბლოვიცი ჰბეჭდავს ამ ჟამად საბუთებს, საიდგანაც, კორესპონდენტის სიტყვით, სჩანს, რომ რუსეთი ხელს უწყობდა მოკრივეთა აჯანყებას ჩინეთში. ბლოვიცი აცხადებს, რუსეთმა წინ და წინვე იცოდა, რომ ჩინეთში აჯანყება უნდა მომხდარიყო. რუსეთის მთავრობამ და ლიხუნგჩანგმა ხელშეკრულებაც-კი დასდეს, რომლის ძალითაც რუსეთსა დახმარება უნდა გაეწია ჩინეთისათვის აჯანყების დროსო. რუსეთს ერთი აზრი ჰქონდა, ხელთ ჩაეგდო მანჯურია და მონგოლია და ჩაიგდო კიდეცაო, ამბობს ბლოვიცი და იმასთან ერთად გაზეთი „Times“-იც.

საბაასო

პასუხად ბ-ნს წულაძეს.

გაზეთის „ივერიაში“ მე-276 ნომერში, წავიკითხე წერილი ბ. წულაძისა. ბ-ნი წულაძე ამბობს: ყველა მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნებში მოხსენებულია, რომ დედა ფუტკარი სდებს კვერცხს როგორც სამუშაო სამამლე საკვერცხეში, აგრეთვე სადედლეშიაც. თუ არ ვსცდები, ბ-ნ წულაძეს წერილი ესე გავიგე: ვითომც დედა ფუტკარი სდებდეს სამჯერა კვერცხს: მუშა ფუტკრისას, მამლის (ბასტი მონავარი) ფუტკრისა და სადედო ფუტკრისა. თუ მართლა ბ-ნ წულაძეც ასე გვიხსნის, როგორც მე გამიგია, მაშინ მე არ ვეთანხმები ბ-ნ წულაძის აზრს. შეუძლებელია საქმის მცოდნემ და გამოცდილმა მეფუტკრემ დასწეროს ამისთანა მოულოდნელი ფაქტი თავის სახელმძღვანელოში. და თუ ბ-ნ წულაძეს უნდა გვითხრას: დედა ფუტკარი ორჯერა კვერცხსა სდებსო, მუშა ფუტკრისა და მამალ ფუტკრისასაო, მაშინ ეს აზრი დასაჯერია და ყველა მეფუტკრესაც საბუთიანად ჩაურთავს თავის სახელმძღვანელო წიგნში, და მეც ჩემის მხრით ვეთანხმები ამ აზრს და აღარ განვაგრძობ ამ საგანზედ საუბარს; ოღონდ ბ-ნს წულაძეს ვსთხოვ, თუ არ იწყენს, გადაათვალიეროს ჩემ მიერ შედგენილი წიგნაკი ფუტკრის მოვლა-მოშენების შესახებ.

მებაღე არჩ. ლარეჯანაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ დიდად პატივცემულ სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, რომელმაც ქართულ დრამატიულ საზოგადოებას შემოსწირა ასი თუმანი.

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა.

დეპეშა

დეკემბრის 3.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ იანვრის 17-სათვის მიწვეულ იქმნას პეტერბურგში სატარიფო კრება რკინის გზის წარმომადგენელთაგან.

პარიჟი. საფუძველს მოკლებულად სთვლიან ნაციონალისტებისაგან გავრცელებულს ხმებს, ვითომც ელჩი კონსტანი თავს ანებებდეს სტამბოლში თავისს თანამდებობას, რომ ხელ-ახლავ ილვაწოს შინაურს პოლიტიკაში.

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთმა გარდუხადა რუსეთს ხვედრი კონტრიბუცია.

მოსკოვი. იანვრას 3-ს დაიწყო ექიმების კრება პიროგოვის სახელობისა. საპატიო თავს მჯდომარედ არჩეულ იქმნა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი კაპუსტონი-

4 იანვარი

პეტერბურგი. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ბრძანების ასასრულებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა შედგენას იმ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვით სამინისტროში უნდა დაარსდეს დეპარტამენტის უფლებით მოსილი ცალკე განყოფილება, რომელშიაც უნდა აწარმოონ აზნაურთა წოდების და სააზნაურო წოდებრივი დაწესებულებათა შესახები საქმეები.

ლონდონი. მეფე და დედოფალი ბუკინგამის სასახლითგან დიდის ამალით წაბრძანდნენ პარლამენტის შენობაში სესსიის დასაწყებად. პარლამენტის შენობაში მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ 2 საათზე.

ბერლინი. პრუსიის წარმომადგენელთა პალატაში ბიუჯეტის განხილვის დროს კონსერვატორებმა მოითხოვეს, რომ კიდევ უფრო მოუმატონ სადამოჟნო გადასახადებს. ბიულოვმა უპასუხა, რომ მმართებლობა არ დაუკლებს პურის ბაჟს უმცირეს ნორმაზე უფრო, რაც აღნიშნულიც არის კანონ-პროექტში; ამასთანასთანავე ბიულოვი აფრთხილებს მათ მეტის-მეტ მოთხოვნილებათაგან. „დოიჩე ტაგესცაიტუნგი“, აგრარიების ორგანო ნამეტანი აღელვებულია სოციალ-დემოკრატების ობსტრუქციის გამო, რასაც ისინი იჩენენ სატარიფო კომისიაში- მათი ყოფაქცევა საშიშია კანონპროექტის გაყვანისათვის და ამიტომაც გაზეთი თხოულობს რომ ობსტრუქციის წინააღმდეგ ზომები იქნას მიღებული.

დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა რიხტერს და ყურადღებას აპყრობს მიქელის ფას დაუდებელს ღვაწლს სადამოჟნო ტარიფების საქმეში. იგი იხსენებს, რომ ფინანსთა მინისტრისაგან ნათქვამს ეთანხმება მთელი მმართებლობა და რომ ამაში საეჭვო არა არის რა. მე ძალიან გარკვევით ვსთქვი, რომ მზადა ვარ უსათუოდ დავეხმარო სასოფლო მეურნეობას, მხოლოდ იქამდე, სანამდის ეს დახმარება წინააღმდეგი არ იქნება საერთო კეთილ დღეობისა. მმართებლობის აზრით ცალმხრივი აგრარიული პოლიტიკა ისრეთსავე ვნებას მოუტანს სახელმწიფოს, როგორც ფრიტრედერის პოლიტიკა. კანონპროექტში მოხსენებული მინიმალური გადასახადი არ იქმნებიან შემცირებულნი, ხოლო მეტისმეტს მომატებასაც ბაჟისას არ მიიღებენ გერმანიის კავშირის სახელმწიფოები; ამიტომაც წინადადებას ვაძლევ ყველას, ვინც მომხრეა საერო შრომისა და სასოფლო მეურნეობის დაცვისა თავიანთი მისწრაფება შეზღუდონ.

ლონდონი. მეფემ პარლამენტის სესსიის დაწყების წინად წარმოსთქვა სეფე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა უელსის პრინცისა და პრინცესსას ბედნიერად დაბრუნება მოგზაურობიდგან. მეფე დარწმუნებულია, რომ მათმა მოგზაურობამ განამტკიცა ურთი-ერთ პატივისცემის და ლოიალური კავშირი, რომელზედაც დამყარებულია იმპერიის სიცოცხლის ძალა. „ჩემი განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან ისევ ისე მეგობრულია, სთქვა მეფემ სეფე-სიტყვაში.

ვსწუხვარ, რომ სამხრეთი აფრიკაში ომი ჯერ არ გათავებულაო, თუმცა ომის საქმე ჩვენდა სასარგებლოდ მიდისო; მრეწველობა ჩემს ახალს ახალშენებში ისევ ფეხზე სდგება; თუმცა ომი ერთობ ჭაპან საწყვეტი შეიქმნა, სალდათები მაინც სიხარულით იტანდნენ ყოველსავე სიძნელეს სათარეშო ომიანობისას და მტერს ებრძოდნენ მეტის-მეტად კაცობრიულად, თითქმის თავის ინტერესების საწინააღმდეგოდაც, აუცილებელი შეიქმნა სახლებში გამეშვა და სამსახურისაგან გამეთავისუფლებინა ის ჯარები, რომელნიც სხვებზე უფრო დაზარალდნენ ომებში; ამ გარემოებამ შემაძლებინა ერთხელ კიდევ მესარგებლნა ახალშენების დიოფალურ-პატრიოტულ წინადადებით და სამხრეთს აფრიკაში მალე მივლენ ახალი ჯარები კანადიდგან, ავსტრალიიდგან და ახალ ზელანდიიდგან.

სეფე-სიტყვაში მოხსენებულია შეერთებულ შტატებთან დადებული ხელშეკრულობა შესახებ ოკეანთ შორის არხისა, რომელიც პირობისამებრ ნეიტრალური უნდა დარჩეს, ხოლო არხით ისარგებლებენ ყველა სახელმწიფოები და ხალხები ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის. ბრაზილიასთან დადებულ იქმნა ხელშეკრულობა, რომ გვიანის საქმე გადაეცეს გადასაწყვეტად მედიატორებს. მეფე დიდის სიამოვნებით იხსენიებს, რომ იტალიის მეფემ იკისრა მედიატორობა. სეფე სიტყვაში მოხსენებულია აგრეთვე ავღანის ემირის გარდაცვალება და მისი მემკვიდრის ტახტზე ასვლა. ახალი ემირიც მეგობრულად არის ინდოეთის იმპერატორთა. შემდეგ მოხსენებულია კანონ-პროექტი შესახებ სასკოლო საქმეებისა, ირლანდიაში მიწის ყიდვა-გაყიდვის გაადვილებისა და სხ.—როცა სეფე-სიტყვის იმ ალაგს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჯარები კაცობრიულად ებრძოდნენ მტერსაო, პარლამენტმა ძველის-ძველ ჩვეულების წინააღმდეგ, აღტაცებით დაიწყო ტაშის კვრა და შეაწყვეტინა სიტყვა.

ვაშინგტონი. ამერიკის ჟურნალ გაზეთები არკვევენ რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოხსენებას სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და ამბობენ, რომ ბიუჯეტის თანასწორობა მრეწველობის ახლანდელ დაცემის დროს დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ რუსეთის ფინანსები საუცხოვო მდგომარეობაშია. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოხსენების იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია რუსეთის იმპერატორის უაღრესად მშვიდობიანი პოლიტიკა.

პეკინი. იმპერატორი წამობრძანდა ტაძარში სადაც შესწირა მსხვერპლი ბედნიერათ დაბრუნებისათვის. სამმა იაპონიელმა სალდათმა თავს დაეცა წუხელის ავსტრიელს დარაჯს. ერთი იაპონიელ ჯარის კაცთაგანი მოკლულია და დარაჯი მძიმედ დაჭრილი.

პეტერბურგის ბირჟა, 28 დეკემბრის.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	94 წერ. გასყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	367½ მსყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	255 გაყიდ.
3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	88 გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89 წერ. გასყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის ნავთის მრეწვ.	9250 წერ. გასყ.
აქციები „	457½ „
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	305 წერ. გაყ.
„ ა. ი მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დილის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დილის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.(

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი
„კვალი“
(წელიწადი მეათე)
გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს,
ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიანთ წლის ფული ნაწილად შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან. საჩხერეში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.
იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნა 17.
(წლ.)

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ“ въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—2)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

25—9—6

განცხადება

ქუთაისის ქალაქის წყლის მილის ამხანაგობისა სამთო ინჟენერის ა. დ. მიხაილოვისა და ამხ. ამით აცხადებს, რომ 15 იანვარს ამა წლისას გაუვათ შეღავათიანი ვადა მორიგ შესატანისა ამხანაგობის საპაიო კვიტანციებს პირველის და მეორე სერიისას (მესამე შესატანი პირველის სერიისა და მეორე შესატანი მეორე სერიისა).

შესატანი ფული მიიღება გამგეობის კანტორაში (ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა) დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. ამასთანავე გამგეობა მეპაეთა ყურადღებას მე-§ 53 მიაქცევს, რომელიც კვიტანციებზედ არის ამობეჭდილი. (1—265—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-ცნობის ფურცელ“-ზე სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით.

კავკასიაში & რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში & რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ.-კ.
6 თვით	4 „	6 თვე	6 „50„
1 „	75 „	1 „	1 „10„

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზედ ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად და იბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ Пурцели,“

საბედნიერ-დღეოდ

ისყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში
(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)

შობის ხის სრული მორთულობა

კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე ისყიდება საგანგებოდ არჩეული **საჩუქრებისთვის** ფოტოგრაფიული აპპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.

საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფუმერია და კოსმეტიკა.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.
ტელეფონი № 741, ადრესი ტელეგ.: Тиф. фармацевтика“.

(6—3)

IV годъ. Принимается подписка на 1902 г. **IV годъ.**

на иллюстрированный журналъ

ПРОМЫШЛЕННОЕ Садоводство и огородничество

Журналъ одобренъ Учебнымъ Комитетомъ М. З. и Г. И., удостоенъ золотой медали.

въ приложенiяхъ журналъ даетъ:

книги, рисунки, сѣмена, дички, черенки и проч.

Подписчики имѣютъ право помѣстить въ теченiе года 3 раза по 5 строкъ свои объявленiя безплатно.

Подписная цѣна: въ годъ—3 р., $1/2$ года—1 р. 50 к., 3 мѣсяца—1 р.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТIЕ:

Д. П. Алферовъ, Н. В. Андросовъ, М. С. Балабановъ, Н. М. Буренковъ, Б. I. Гомилевскiй, С. Н. Гаховичъ Н. Игнатьевъ, Н. И. Кичуновъ, Х. И. Клейнъ, И. И. Кабештовъ, К. Г. Мейеръ, С. А. Мокржецкiй, Я. Т. Павленко, Л. П. Симиренко, Р. И. Шредеръ и мн. др.

ПРОБНЫЕ НОМЕРА БЕЗПЛАТНО.

Ближайшее руководство журналомъ приняли:

Н. И. КИЧУНОВЪ.
С. А. МОКРЖЕЦКIЙ

Для удобства подписчиковъ и читателей при конторѣ журнала открытъ

КНИЖНЫЙ СКЛАДЪ **Литературы по садоводству.** | СКЛАДЪ САДОВЫХЪ **Принадлежностей и Опрыскивателей.**

Редакцiя принимаетъ на себя изданiе садовыхъ Прейсъ Курантовъ и Каталоговъ съ редакцiя послѣднихъ относительно терминологiи

КАТАЛОГИ И ПРЕЙСЪ-КУРАНТЫ БЕЗПЛАТНО.

Адресъ редакцiи и конторы: Харьковъ. Рыбная улица, № 32.

3—ე—3. Редакторъ-издатель Н. В. ПЕТРОВЪ.

Открыта подписка на 1902 годъ.

(*Х-ЫЙ ГОДЪ ИЗД.*)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

„РУССКОЕ БОГАТСТВО“

ИЗДАВАЕМЫЙ

Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

Подписная цѣна:

На годъ съ доставкой и пересылкой	9 р.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ	8 р.
За границу	12 р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТРЯ:

ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ—въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9.
ВЪ МОСКВѢ—въ отдѣленiи конторы—Никитскiя ворота., д. Гагарина.

При непосредственномъ обращенiи въ контору или въ отдѣленiе, допускается РАЗСРОЧКА:

при подпискѣ	5 р.	при подпискѣ	3 р.
		или къ 1-му апрѣля	3 р.
и къ 1-му iюля	4 р.	и къ 1-му iюля	3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

Книжные магазины, библiотеки, земскiе склады и потребительныя общества, доставляющiе подписку, могуть удерживать за коммиссiю и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра

Для городскихъ подписчиковъ, въ Петербургѣ и въ Москвѣ *безъ доставки* (за исключенiемъ книжныхъ магазиновъ и библiотекъ) допускается разсрочка по 1 р. въ мѣсяцъ съ платежомъ впередъ: въ дакабрѣ за январь, въ январѣ за февраль и т. д. по iюль включительно.

Подписка въ разсрочку *отъ книжныхъ магазиновъ, библiотекъ, земскихъ складовъ и потребительныхъ обществъ* не принимается. (3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ

на ежедневную политическую, литературную и экономическую газету

„НОВОСТИ“

и на художественный журналъ

„Петербургская Жизнь“

Изданiе акцiонернаго общества „ГУТЕНБЕРГЪ“

Подписка на „НОВОСТИ“ въ 1902 году

На 1-е (болшое) ИЗДАНIЕ

	На годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
Безъ доставки	14 50	13 —	12 —	10 50	9 80	9 —	8 —	6 80	5 50	4 —	2 80	1 59
Съ дост. по город. почтѣ	16 —	15 —	13 50	12 —	11 —	10 —	9 —	7 50	5 80	4 50	3 30	1 80
Съ пересыл. иногороднымъ	17 —	15 50	14 50	13 50	12 50	11 30	10 —	8 50	7 —	5 50	4 —	2 —
За границу	26 20	24 50	23	21 —	18 50	16 —	14 -	12 —	10	8 —	6 —	2 50

РАЗСРОЧКА платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ, черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенiю съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „НОВОСТИ“ Б. Морская, № 17 Адресъ для телеграммъ: Петербургъ „Новости“.

Условiя отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

(Выходитъ два раза въ недѣлю)

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки. на 1 годъ—5 р., на 6 м.—3 р. на 3 м.—1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на годъ—6 р., на 6 м. 3 р., на 2 мѣс.—1 р.

Съ 1-го января 1902 года

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

на ВТОРОЕ изданiе политической, литературной и экономической

ЕЖЕДНЕВНОЙ ГАЗЕТЫ

„НОВОСТИ“

вмѣстѣ съ журналомъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

(выходящимъ два раза въ недѣлю),

безъ измѣненiя формата и содержанiя газеты,

ЗНАЧИТЕЛЬНО ПОНИЖЕНА

ДЛЯ ИНОГОРОДНЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

(вмѣсто 11 рублей)

6 РУБЛЕЙ на 12 мѣс., 3 руб. 50 коп. на 6 мѣс. 2 руб. 20 коп. на 3 мѣс. и 75 коп. на 1 мѣс.

Желающiе ознакомиться съ газетой и журналомъ въ текущемъ 1902 г. могутъ подписаться по вишеуказаннымъ цѣнамъ, на одинъ, два и три мѣсяца (начиная съ 1-го числа каждаго мѣсяца).

ВЪ ГАЗЕТУ и ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЛИ и ПРИМУТЪ УЧАСТIЕ

Аненкова-Бернаръ, Н. П.—Антокольскiй, М. М.—Антроповъ Р. Л.—Арепьевъ Н. Ф.—Баранцевичъ. К. С.—Бентовинъ, Б. И.—Берсъ, А. А.—Билибинъ, Б. Е.—Бирюковичъ, В. В.—Боборыкинъ, П. Д.—Быстрейинъ, В. П. Бѣловъ, В. Д.—Василевскiй, И. Ф.—(Буква).—Ватсонъ, М. В. Вайнбергъ, П. И.—Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскiй, А. Н.—Веселовскiй, Ю. А.—Головачевъ, А. А.—Городецкiй, М. Б. Далматовъ, В. П.—Ермиловъ, В. Е.—Исаевъ, А. А.—Капнистъ, Ида, гр.—Карцевъ, Е. Е.—Кауфманъ, Ил. И.,—Карабчевскiй, П. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, Пл. Н.—Кудрашевъ, М. И.—Кюи, Ц. А.—Ламскiй, Е. И.—Ларошъ, Г. А.—Ломброзо-Чезаре.—Лондонъ, Е. В.—Мантегацца, Паоло. Минскiй (Виленкинъ), Н. М.—Мордвоцевъ, Д. Л.—Морзовъ, П. О.—Недзвѣдскiй, В. И.—Немировичъ-Данченко, В. И.—Никитинъ, В. Н.—Николскiй, Д. П. Оболенскiй, М. Е.—Оршанскiй, И. Г.—Остроговскiй, В. П.—Песковскiй, М. Л.—Писаревъ, М. И.—Плющикъ-Плющевскiй, Я. А.—Покровская, М. И.—Полонскiй, Л. А.—Радци. А. А.—Ракшанинъ, Н. О.—Реингольдъ, А. А.—Рапопортъ, С. И. Сафоновъ, С. А.—(Печоринъ.)—Семеновъ, Е. П.—Сильчевскiй, Д. П.—Скабичевскiй А. М.—Слобожанинъ, Е. Д.—Спасовичъ. Б. Д.—Стасовъ, В. В.—Трачевскiй А. С.—Умоновъ Каплуновскiй, В. В. Ферреро Гульелмо—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ),—Фламмарiонъ Каммилъ—Фроловъ, В. К. Хиряковъ, А. М. Цеховская, В. Н.—Чюмина. О. Н.—Шумковъ В. В.—Энгельгардтъ, М. А. Яблоноскiй А. А.

Контора газеты „Новости“: С-Петербургъ, Бол. Морская, № 17.

При конторѣ газеты „НОВОСТИ“ существуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котораго подписчики „НОВОСТИ“ пользуются на льготныхъ условiяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель О. К. НОТОВИЧЪ.

(4—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ გამგეობის თანადასწრებით 1902 წელს, 8 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზედ მოხდება საჯარო ვაჭრობა, და იჯარით გაიცემა მიწის ნაჭერი ზომით 726, 3 ოთხკუთხი საჟენი, რომელიც მდებარეობს ტფილისის საბაყოს პირდაპირ, სადაც დღეს მოთავსებულია ხე-ტყის საწყობი ფრანც ამირაღოვისა.

პირობების ვასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—1)

Доз. вол. цензурою. Тифлисъ 4го- Декабря 1901 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა„ და ძმ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩ. ღრონები თი რედაქტორი **ა. სარაჯიშვილი.** გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**